სათემო ლიდერთა ფორუმი 2023 შეფასების ანგარიში

1.გთხოვთ, მიუთითოთ, რომელ დღეს დაესწარით ფორუმს?

- მხოლოდ 16 ნოემბერს 11 ადამიანი
- მხოლოდ 17 ნოემბერს 3 ადამიანი
- დავესწარი ფორუმის ორივე დღეს, 16 და 17 ნოემბერს 39 ადამიანი

2. 2023 წლის ფორუმზე, რა მოგეწონათ განსაკუთრებით?

- სათემო ინიციატივების კონკურსი და თვითმმართველობის პანელი
- ყველა დეტალი იყო ძალიან საინტერესო
- პანელური დისკუსია, და თანადაფინანსების შესაძლებლობების წარმატებული მაგალითების გაცნობა
- ძალიან საინტერესოდ იყო დაგეგმილი ორივე დღე. სიურპრიზებით სავსე, ინტერაქტიული, თემატური, ვიზუალური, ჭკვიანი და მშვენიერი წამყვანებით.
- ახალი ორგანიზაციების გამოვლენა და მათი საინტერესო იდეების მოსმენა
- სათემო ინიციატივების წახალისების და მხარდაწერის ტრადიცია; პანელური დისკუსია თვითმმართველობასთან თანამშრომლობის თემაზე.
- ყველაფერი
- სხვადასხვა ინიციატივებუს, განხორციელებული აქტივობების გაზიარება. პანელური დისკუსიები
- დღე ისე იყო აწყობილი ყველა პანელი იყო იყო საინტერესო. განსაკუთრებით ემოციური იყო სათემო ინიციატივების პრეზწნტაციები და დაჯილდოების ცერემონიალი. დღის ბოლოს მოწყობილმა სიურპრიზმა მოლოდინს გადააჭარბა. მადლობა ამ ლამაზი დღისთვის
- პირველად ფორუმი ჩემთვის და ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო
- რადგან პირველ წელს ვიყავი ფორუმზე, აბსოლიტურად ყველაფერი მომეწონა, ძალიან საინტერესო პროექტი არის.
- სადისკუსიო თემები პანელებზე
- ორგანიზება, ჩატარების ადგილი, არაჩვეულებრივი განწყობა და თითოეული მონაწილის დამოკიდებულება საკუთარი და სხვისი საქმისადმი, ბევრი სიახლე, რაც გავიგე....
- გარემო, ხალხი და გუნდურობა თქვენი მხრიდან
- ორგანიზება. კარგად დაგეგმილი ფორუმი იყო
- ორგანიზება და თემატური მრავალფეროვნება.
- ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ყველა პანელი, გამომსვლელი იყო მნიშვნელოვანი და დიდი გამოცდილების მომცემი.
- სხვადასხვა თემებში განხორციელებული წარმატებული ინიციატივები და პროექტები
- ღონისძიების ადგილმდებარეობა, გამომსვლელთა ისტორიები და წამყვანი ირინა :))
- საინტერესო ადამიანების გაცნობა. სასარგებლო იდეების მოსმენა. გამოცდილებების გაზიარება. ოგანიზებულობა. სუხიშვილები🙂. და ბოლოსდაბოლოს გავიცანი ქალბატონი ნინო ვასაძე💚
- "ლომეკი" და "სუხიშვილები".

- მთლიანად, უმაღლეს დონეზე დაგეგმილი და ჩატარებული ფორუმი.
- ორგანიზება, პანელების თემატიკა, მუსიკალური მხარე
- ფორუმი საინტერესოდ იყო დაგეგმილი. განსაკუთრებით მომეწონა პროექტების წარდგენა და გამოცდილების გაზიარების სესაძლებლობა
- განსაკუთრებით მომეწონა საინტერესო ადამიანების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები და თავიანთ თემში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და იდეებზე საუბარი, ასევე კითხვა-პასუხის რეჟიმი.
- ყველაფერი (ორგანიზატორების გუნდურობა, ღონისძიებების თანმიმდევრობა, ორგანიზებულობა)
- დღის წესრიგი
- სათემო პროექტებისა და ინიციატივების გაცნობა
- ძალიან კარგად ორგანიზებული იყო. უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხებოდა
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სათემო საკიხების კვლევები, ურთიერთ გაცვლა, პამნელური შეხვედრები, ქსელური მუშაობა
- მეორე დღეს პანელები ძალიან საიბტერესო და ნაყოფიერი იყო. ასევე გამორჩეული პრიექტების წარდგენა და დაჯილდოება.
- ირგანიზებულობა, საინტერესო თემები, დაჯილდოების ნაწილი, გარემო.
- მობილება, ორგანიზება
- წლის საუკეთესო სათემო ინიციატივების დაჯილდოება
- ყველაფერი :-)
- განსაკუთრებით სათემო ორგანიზაციების პრეზენტაციები იყო საინტერესო
- მონაწილეთა ჩართულობა
- სამუშაო ჯგუფების ფორმირება და ორგანოზება
- ორგანიზებულობა, მრავალფეროვნება და აქტიურობა
- მომეწონა პანელური დისკუსიები, დაჯილდოების ცერემონია
- გარემო დაგვხვდა, თბილი, თითქის საკუთარ ოჯახში ვიყავით.
- კარგად იყო ორგანიზებული
- ორვქნიზება, მონაწილეების და მოწვეული სტუმრების მაღალი დასწრება, კონკურსანტების მრავალფეროვნება, საქსესთორების გაცნობა
- კონკურსის მონაწილეთა პრეზენტაციის ნაწილი
- თემატიკის მრავალფეროვნება
- ყველა ნაწილი ძალიან საინტერესო იყო. <3 განსაკუთრებით მომეწონა პანელური დისკუსია თემის ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.
- ახალი ორგანიზაციების გაცნობის ნაწილი
- ახალი სახეების გაცნობა. მომეწონა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც იყვნენ წარმოდგენილები და ძალიან პრაქტიკული პარალელური სესიები იყო. მე გვიან მომიწია ჩამოსვლა და მარტყოფელი ბავშვებით აღფრთოვანებული აუდიტორია დამხვდა. ძალიან კარგია, რომ წელს ახალგაზრდებს უფრო მეტად მიეცათ საშუალება, საკუთარი თავი და შესაძლებლობები გამოევლინათ.
- განვლილი პროექტების და აქტორების გაცნობა
- პანელური დისკუსიის ყველა თემა იყო საინტერესო. კარგი იყო ნეთვორქინგის ნაწილი და არაჩვეულებრივი მუსიკალური ნაწილი
- ნომინაციები, პანელები
- სათემო ლიდერების პრეზენტაციები, პანელური დისკუსია სასკოლო კვების თემაზე.

3.მიღებული გამოცდილებიდან, რის გამოყენებას შეძლებთ თქვენს საქმიანობაში?

- მიღებული ინფორმაციის და კონტაქტების
- ბევრი ადამიანი გავიცანი, იდეები მოვისმინე და სასარგებლო ბევრი ინფორმაცია რაც აუცილებლად გამოადგება ჩვენს ორგანიზაციას პრაქტიკაში.
- ახალგაზრდული მიმართულების გაძლიერებას
- ეგრე ვერ ჩამოვთვლი.
- სამეწარმეო კუთხით განვითარება
- საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციების ფართო სპექტრი; პანელური დისკუსიების წარმართვის სპეციფიკა.
- ავიღე ჩემთვის საინტერესო აქტივობები
- უამრავი იდეა გამიჩნდა და ვცდი თემში აპრობირებას.
- საინტერესო იყო სხვა ორგანიზაციების აქტივობების მოსმენა. შესაძლოა რომელიმე აქტივობა ჩვენც განვახორციელოთ
- თითქმის ყველაფრის
- ზუსტად ის ადგილი იყო ფორუმი, სადაც ბევრი გამოცდილება მივიღე, უფრო კონკრეტულად თემთან მუშაობა ადგილობრივი თვითმართველობასთან მუშაობა
- ახალგაზრდული ცენტრის დაარსებაზე ვიფიქრებ, ახალგაზრდებთან ერთად, ნუკრიანში
- კერძო სუბიექტებზე მუნიციპალიტეტის მიერ ფულადი სახსრების გადაცემის სამართლებრივი მექანიზმი და პრაქტიკა
- ახალი იდეებით და შესაძლებლობებით წავედით ❤️ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად გვსურა გავაკეთოთ აქტიცობები
- ჩემს თემშიც დავგეგმავდი ასეთ შეხვედრებს.
- ორგანიზაციულ საკითხებს.
- ჩვენი სათემო, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფისთვის, ფორუმში მონაწილეობა იყო დიდი მოტივაცია და გამოცდილება. სამომავლო განვითარებისთვის და ხილვადობისთვის კი, მასში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი.
- ჩვენს თემში განვახორციელებ მსგავს პროექტებს.
- თითოეული რეგიონის საჭიროების ცოდნა ძალიან მნიშნველოვანია ჩემთვის
- კონტაქტების და ახალ მეგობრებთან საქმიანი კომუნიკაცია.
- კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის მიმართულებით.
- შევიძინეთ ახალი კონტაქტები, რომლებიც დაგვეხმარება ორგანიზაციულ განვითარებაში.
- ყოველთვის მაინტერესებდა თვითმართველობის საკთხები და ვერ გამოვნახე დრო ამისათის, ახლა მივიღე ინფორმაცია და მომავალში ვფიქრობ, გამომადგება.
- თვითმმართველობასთან თანამშრომლობას
- ძირითადად ფინანსების მოზიდვას. ინსპირაცია მივიღე ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანისგან და ვისწავლე თუ როგორ შეიძლება მოვაგროვოთ თანხა სხვადასსხვა გზებით და ა.შ.
- გავიცანი ორგანიზაციები, რომელთაც დავუმეგობრდი და უკვე დავიწყე მათთან ურთერთობა, ვფიქრობ ფორუმი არის ღონისძიება საიდანაც სწავლობ, ისმენ სხვა ორგანიზაციებსა, თუ საწარმოების შესახებ, რომელსაც უკავშირებ საქმიანობას.

- სათემო ცენტირის მონაწილეებთან გავიზიარებებ ჩემი ცოდნას
- “ჩემი ქალაქი მკლავს” გამოცდილებას გამოვიყენებ ჩემს საქმიანობაში
- ჩვენ ვიყენებთ გამოცდილებას ჩვენს საქმიანობაში, განსაკუთრებით იმ შედეგებს, რასაც სხვა ორგანიზაციები გვიზიარებენ. ვრეაგირებთ საერთო გამოწვევებზე.
- ახალი კონტაქტები ყველაზე მეტად გამომადგება, ასევე დაფინანნსების წყაროების შესახებ ინფორმაცია.
- თანამშრომლობას სხვადასხვა რეგიონის სათემო ლიდერებთან
- მთლიანობაში ალბათ ყველა საკითს გამოვიყენებდი
- მიხარია ახალი ადამიანების გაცნობა, სადაც ვნახულობთ ახალის გადაკვეთის წერტილებს ჩვენ საქმიანობაში
- მნიშვნელოვანია ახალი კონტაქტების შეძენა, გამოცდილებების გაზიარება, გამოწვევებზე რეაგირების ინსტრუმენტების გაგება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის დონეზე.
- სათემო ლიდერთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას
- ბევრი კონტაქტები დავაგრივე და საინტერესო გამოცდილება სხვადასხვა ინიციატივებზე საქართველოს მასშტაბით
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება
- უფრო აქტიურად ჩავერთვები.
- ნეთვორქინგს
- ახალი სათემო ინიციატივები
- პრეზენტაციის წარდგენის, აუდიტორიასთან კომუნიკაციის, იდეების დაგეგმვისა და განხორციელების.
- ახალგაცნობილ ორგანიზაციებთან კომუნიკაციას გავაგრძელებთ
- ტურიზმის მიმართულებით საკმაოდ კარგი ინფორმაციები მივიღეთ პარალელურ სესიაზე.
- ნეთვორქინგის მეთოდებს და პანელურ თემატურ ჯგუფში მიღებულ ინფორმაციას
- გვარღმავებ კონტაქტებს და დავგეგმავთ ახალ შესაძლებლობას

4. რა რეკომენდაციებს/რჩევებს მოგვცემდით მომავალში ფორუმის გაუმჯობესებისათვის?

- ·მეტი დრო დაეთმოს სათემო ჯგუფებს შორის კონტაქტების გაღრმმავებას
- ·მოხარული ვიქნებით თუ კვლავ გაიმართება ფორუმი და გვექნება დასწრების საშუალება
- ·კარგი იქნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობებიდან გადაწყვეტილების მიმღები პირების აქტიური ჩართულობა და ამ მხრივ მათი მოტივაციის ამაღლება
- ·ასე გააგრძელეთ შემოქმედებითი მიდგომებით. ძაან მაგარი იყო
- ·იმდენად მაღალ დონეზე იყო დაგეგმილი ფორუმი, რომ ვერაფერს დავამატებ
- ·პანელური დისკუსიები წარიმართოს ერთიან სივრცეში. გარკვეული დრო დაეთმოს რეგიონულ ორგანიზაციებს შორის უშუალო კომუნიკაციას.
- ·გვქონდეს მეტი კომუნიკაცის დრო და იყოს ყველა სათემოსთვის მცირე დრო დათმობილი თუნდაც სამადლობელი
- ·ყოველწლიურად საუკეთესო გუნდი მუშაობს ამ ღონისძიების დაგეგმვა განხორციელებაზე, რაც დასტურდება საქმით. ჩემი რეკომენდაციაა ესე გააგრძელეთ ❤️❤️😊

- ძალიან კარგი იქნებოდა ტრეინინგები ჩაატაროთ სოფლებში, რადგან შორეულ სოფლებში ფორუმზე არავინ იცის და აუხსნათ რეგისტრაციის ფორმა და პრინციპი.
- ონლაინ გადაცემის გაკეთება კარგი იქნებოდა
- მიჭირს რჩევის მოცემა, ველოდები მორიგ დღესასწაულს
- ყველაფერი იდეალური იყო ჩემთვის
- უკეთესი იქნებოდ თუ შესაძლებლობა გვექნებოდა ყველა პანელზე დასწრების.
- იმდენად სრულყოფილად მომეჩვენა ყველა დეტალი, რომ ვერაფერს დავამატებდი. საუკეთესო იყო ყველაფერი.
- ამ ეტაპისთვის, არ მაქვს, რაიმეს სახის შენიშვნა
- ფორუმის ფორმატი სრულიად საინტერესოა
- გამომსვლელთა ნაწილის ხმა არ ისმოდა კარგად, ასევე ადრე ჩამოსული სტუმრები ცოტა დაბნეულად დავდიოდით, არ ვიცოდით, საით უნდა წავსულიყავით. თბილისიდან გამოსვლაც დავაგვიანეთ და ვინც ადრე მიდის ადგილზე, იჩაგრება ხოლმე ლოდინით
- 1 ორი წარმომადგენლის დაშვება🙂 2 დამეგობრებული სათემო ჯგუფების შერჩევა კონკურსის მეთოდით, მაგალითად ყურებაში დაინიშნოს სკამები და ყურებაში მოთავსებული ნომრის შემოღებით გამოვლინდება დამეგობრებული ორი თემის, რომლებიც ერთობლივად საინტერესო პროექტებს განახორციელებენ, მომავალ ფორუმზე კი კონკურსის სახით გამოვლინდებიან სხვადასხვა ნომინაციებში.
- ვოცნებობ შვილებიდან ერთ-ერთი მახლდეს და მოსწავლეები რომელიმე ერთ ნაწილს მაინც დაესწრონ ჩემთან ერთად და ამის საშუალება მინდა იყოს. ეს ყოველ ფორუმზე მრჩება ოცნებად. განსაკუთრებით ინიციატივების წარდგენა-დაჯილდოებაზე. მარტო მე რომ ვარ, მენანება ეს.
- კარგი იქნებოდა წინა წლების ფორუმების შემაჯამებელი ვიდეოს შექმნა და ერთი სესიის გამართვა, სადაც წინა ფორუმების გამარჯვებულები გააზიარებდნენ გამოცდილებას.
- არ მექნება რჩევა
- შესაძლებლობა გვქონდეს დავესწროთ ყველა პანელურ დისკუსიას
- უფრო მეტი დრო იყოს გამოყოფილი დისკუსიისთვის აუდიტორორიასა და პრეზენტატორებს შორის და პარალელურ ვორქშოფებს ამოვიღებდი, რადგან სამივე თემა მაინტერესებდა, თუმცა დასწრება მხოლოდ ერთზე შემეძლო.
- თუ არის შეაძლებელი, მეორე დღე დაიგეგმოს, ისე რომ შევძლოთ ყველა გამომსვლელის მოსმენა
- კარგი იქნება ფორუმში მეტი ახალგაზრდა მოხალესეს ჩართვა სოფლებიდან
- ძალიან დიდი დიაკომფორტი შემიქმნა წინასწარი გაფრთხილების გარეშე უცხო რუმმეითის არსებობას. ძალიან მნიშვნელოვანია წინასწარო გაფრთხილება ასეთ დროს. ასევე სასტუმროში ადრე ჩექინი რომ არ იყო ესეც პრობლემური იყო, რადგან ზოგიერთი ჩვენგანი ძალიან შორიდან მოდიოდა და მინიმუმ სახის დაბანა სჭირდებოდა ამდენი ხანი გზაში ყოფნის შემდეგ. ბარგის შესანახ ოთახში მოუწიათ მოწესრიგება. როცა დარჩენას აორგანიზებთ მნიშვნელოვანია ასეთი ნიუნასების გათვალისწინება. ასევე ცუდად იყო ორგანიზებული კვების ნაწილი. ნახევარი საათი და + დრო მოგვიწია რიგში დგომა კვებისთვის, რაც ძალიან არაკომფორტულია, როცა შესაძლებელი იყო მაგიდის ორ მხარეს გაშლა და ამ პრობლემია მოგვარება. მოკლედ ტექნიკურად ბევრი ხარვეზი იყო, თუმცა უშუალოდ თემატური ნაწილი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და გადაწონა ეს ხარვეზები.
- დიდი მადლობა ყველაფრისთვის, განსაკუთრებულად დაფასებულად ვიგრძენი თავი, რადგან ერთადერთი ხართ ვინც ასე აფასებს და ხაზს უსვამს სათემო ორგანიზაციებისა და ლიდერების საქმიანობას.

- სასტუმროში განთავსების საკითხებს გავაუმჯობესებდი
- იმდენად კარგად არის ყველაფერი დაორგანიზებული და მოკლე დროში მაქსიმუმი ჩადებული ალბათ დღეს თუ დაამატებთ რომ სიახლეების შეტანა შეძლოთ.
- კარგი იქნებოდა მეტი თავისუფალი დრო ერთმანეთის გასაცნობად და ინფორმაციის გასახზიარებლად. ასევე, შორი რეგიონებიდან მონაწილე სტუმრების ტრანსპორტირება და სასტუმროს განთავსების საკითხის გათვალისწინება.
- სექციური შეხვედრები სხვადასხვა დროს რომ იყოს, უკეთესი იქნება და არა ერთდროულად
- Padlet - სისტემა, რომ მონაწილეებმა შეძლონ უკეთ გაცნობა და კონტაქტების წაღება ფორუმიდა. თავისუფალი მიკროფონი ბოლო 1 საათი მაინც (თითო გამომსვლელს 2-3 წუთი) ზოგადი თემა უნდა ჰქონდეს ფორუმს ყოველ წელს - European Forum Alpbach -ის მაგალითზე. მცირე Pitching ღონისძიებასას დავამატებდი რომ სოც საწარმოებს ან სხვა ინიციატივებს შეეძლოთ დონორების წინ საკუთარი იდეის გაფიჩვა და მხარდაჭერების მოძიება.
- მოიწვიეთ რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი და თვითონ გააკეთონ სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ პრეზენტაციები
- ჩემთვისროგორც პირველად ვესწრებოდი, ძალიან მომეწონა ყველაფერი.
- ახალი სათემო ორგანოზაციებისთვის ადგილზე გააცნოთ შესაძლებლობები, როგორ მიიღონდ დაფინანსება, როგორ ჩაერთნენ თქვენს პროექტებში.
- პანელური დისკუსიები არ იყოს პარარელური რადგან ყველა საინტერესოა და არჩევანის გაკეთება გაგვიჭირდა
- პანელური დისკუსიების ხანგრძლივობისა და ღია-სივრცის დროის გაზრდა. <3
- მგონია, რომ ერთერთი საუკეთესოდ დაგეგმილი ფორუმია, ვისურვებდი მერიებიდან იყვნენ წარმომადგენლები, კარგად რომ ხედავდნენ რას აკეთებენ სათემოები
- პარალელური სესიები ძალიან საინტერესო იყო და სხვაზეც მინდოდა დასწრება. არ ვიცი, ეგ როგორ შეიძლება მოგვარდეს.
- უფრო მეტი დრო რომ დაეთმოს ნეთვორქინგს
- მიჭირს ამის თქმა

5.ფორუმზე განხილული საკითხებიდან რომელზე ისურვებდით უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას?

- კულტურული მემკვიდერობის მეფინგი; თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მაგალითები
- ქალთა ეკონომიური გაძლიერების კუთხით.
- როგორ დავაინტერესოთ და რრა ინსტრუმენტები გამოვიყენოთ ადგილობრივი თვითმმართველობების დაინტერესებისთვის სათემო/საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით.
- ყველა თემა ამომწურავად იყო განხილული
- შეხვედრას შიდა ქართლში მომუშავე დონორებთან
- სასკოლო კვება და სასურველი შედეგის მიღწევასთან დაკავსირებული ნაბიჯები
- სკოლის კვებაზე
- ქალთა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა.
- სამწუხაროდ მეორე დღეს ვერ დავესწარი
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

- თვითმმართველობასთან წარუმატებელი (დიახ, წარუმატებელი) მაგალითების შესახებ ინფორმაცია
- ტურიზმის მიმართულებაზე
- თრუსოს თემატიკა ნამდვილად ყურადსაღებია
- თვითმმართველობასთან თანამშრომლობის დადებითი პრაქტიკები და არსებული გამოწვევები.
- რომელთა ხმაც არ მესმოდა, პანელურ დისკუსიაზე გამომსვლელთა უმეტესობაზე ვერ გავიგე კარგად
- ქალების ეკონომიკური გაძლიერება. ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები.
- კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის საკითხზე.
- თვითმმართველობასთან ურთიერთობა.
- გარემოსდაცვითი საკითხები, თვითმართველობა
- თვითმმართველობასთან ტანამშრომლობის არსებული გამოწვევების მოგვარების გზებზე
- სასკოლო კვებას, ქართული ღირსშესანიშნაობების დაცვას, და სხვა აქტუალურ პრობლემებს.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება
- ვისურვებდი თრუსოს ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ მეტ ინფორმაციას.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, სასოფლო ტურიზმის მიმართულებით
- დაფინანსების წყაროების მოპოვების შესახებ კარგი იქნება უფრო სიღრმისეული ანალიზი. ასევე ადვოკატირების კამპანიების განხილვა ცალკე დ ა.შ
- არ ვიცი
- თემის ისტორიული მეხსიერება და კულტურული მემკვიდრეობა
- კრედო ბანკის გამოცდილებებზე და მენტორობის საკითხზე ჩვენ ინიციატივასთან დაკავშირებით.
- მეტ სათემო ორგანიზაციას მოვუსმენდი
- ქალთა გაძლიერების, დახმარების პროექტებსა და პროგრამებზე
- დონორების და მხარდაჭერის მოძიების მაგალითები
- სამთავრობო ორგანიზაიების მეტ ჩართულობას
- სპონსორებთან გასასაუბრებლად, ცოტა მეტი თავისუფალი, არაფორმალურ სივრცეში გასაუბრებებს.
- სათემო ორგანოზაცოების როლი, არსებული მიღწევებუ
- სოფლის ტურიზმის განვითარების დაფინანსების წყაროების მოძიება
- ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის წარმატებულ პრაქტიკებზე და გამოწვევებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმ საკითხზე თუ როგორ უნდა აისახოს. გამარტივდეს სათემო ინიციატივების დაფინანსება საკანონმდებლო დონეზე.
- სოფლის ტურიზმზე. ძალიან კარგი იყო ია თაბაგარის ნაწილი და მის მოსმენას ვისურვებდი უფრო ხანგრძლივად.
- კულტურულ მემკვიდრეობაზე
- თვითმმართველობასთან ურთიერთობის დამატებით ალტერნატივებს

6. რა საკითხების დამატებას ისურვებდით მომავალი ფორუმისთვის?

- ახალგაზრდების გავითარების შესაძლებლობებს
- იმ დროისთვის არსებული ვითარების შესაბამისად გამოკვეთილ აქტუალურ საკითხებზე და გამოწვევებზე
- შეხვედრას იმ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობებს
- ვორქშოპული სამუშაო სათემო ლიდერებისათვის.
- დონორების უშუალო გაცნობას და პერფომანსულ საპროექტო ინიციატივების დაფინასებას. არ
- არ მაქვს პასუხი
- საკითხების დამატების საშუალებას ორ დღიანი ფორმატი არ მოგვცემს
- შიდა მიგრაციული პროცესები, მიზეზები და მათი აღმოფხვრის მეთოდები.
- ამ ეტაპისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი არ მაქვს
- წინა წლის გამარჯვებულმა იდეებმა რა შეცვალეს თავიანთ რეგიონში
- სტატუსგარეში მყოფი ქალების დახმარების გზები🙂 რომელიც პირადად გააჟღერა დისკუსიების დროს.
- საერთო პროექტებზე მუშაობა.
- სოციალური საწარმოების შესახებ
- რაც აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა და საჭიროებს მოგვარებას, ამ თემების გარშემო ვისურვებდი.
- არვიცი, თითქმის ყველა მნიშვნელოვან თემას ჰქონდა დრო დათმობილი
- საერთაშორისო გამოცილების მიღების შესაძლებლობა ევროკავშირის ქვეყნებიდან. მაგალითად, ესტონეთის, პოლონეთის, ჩეხეთის. სადაც მუნიციპალიტეტები აქტიურად ეხმარებიან თემს. ასევე აუთსორსინგზე გააქვთ სათემო სერვისები
- გაცნობისთვის ორგანიზაციების ცალკე დრო უბდ აიყოს გამოყოფილი და ყველამ მიკლედ მაინც წარადგინოს თავის ორგაბიზაცია ყველასთვის და არა სფიდ დეითინგის ფორმატში.
- არაფომრალური განათლება, ახალგაზრდული პოლიტიკა და ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება
- ახალგაზრდების ჩართულობა თემის განვითარებაში
- დავამატებდი პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე სათემო ორგანიზაციების ჩართულობით.
- სიამოვნებით მოვისმენდი სხვადასხვა მოწვეულ ექსტეპრტის ლექციას
- მხოლოდ წარმატებებს გისურვებთ, კარგი იყო კულტურული პროგრამა
- ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის როლი სამოქალაქო აქტივიზმში. როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა პლატფორმა ჩვენი საქმეების გამარტივების და ეფექტიანობის მიზნით.
- მეორე დღეს რაიმე ახლოს მდებარე ღირსშესანიშნაობის ნახვას
- მეწარმეთა სივრცის დამატება
- სოციალური მეწარმეობა.
- თემისა და თვითმმართველობის საერთო მუშაობაზე, ადგილობრივ თვითმმართველობებს გავაკეთებინებდი პრეზენტაციას
- წლევანდელი თემების უფრო ვრცლად მოსმენას. იმ თემების მასალების გაზიარებას, რომელსაც ვერ დავესწარი.
- მიუსაფარი კომპანიონი ცხოველების სოციალური პრობლემის შესახებ დისკუსიას

7. როგორ შეაფასებდით 2023 წლის სათემო ლიდერთა ფორუმს?
სკალაზე 1-10, სადაც 1 არის მინიმალური შეფასება, ხოლო 10 - მაქსიმალური.

სულ შეავსო 53 ადამიანმა